საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: გ. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 31.01.2022

საჩივრის რეგისტრაცის ნომერი: №013/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. კ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. კ.-ს მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას 2022 წლის 31 იანვარს საჩივრით მომართა, ხოლო 2022 წლის 28 თებერვალს კომისიის სხდომაზე ზეპირი განმარტებით გ. კ.-მა მოითხოვა ადვოკატ ა. კ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების სააგენტოში იკავებს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სასამართლო წარმომადგენლობისა და აღსრულების სამმართველოს უფროსის პოზიციას. 2022 წლის 26 იანვარს სამსახურის ოფისში დაახლოებით 17:23 საათზე კოლეგებისაგან გაიგო, რომ მისაღებში იყო მისული ადვოკატი ა. კ., რომელიც ითხოვდა გარკვეული დოკუმენტაციის

გადაცემას საქმეზე, სადაც ახორციელებდა წარმომადგენლობას. მას განუმარტეს, რომ ადვოკატი იყო აგრესიული და ყვირილით ითხოვს აღნიშნულს. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მან კოლეგებს სთხოვა, ადვოკატისათვის მიეცათ ის მასალები, რასაც ითხოვდა, თუმცა აღმოჩნდა რომ ადგილზე არ იყო სააგენტოს ქ. თბილისის საქალაქო ცენტრის არცერთი იურისტი, რომელიც ადვოკატს საქმეს გააცნობდა და მასალების ასლებს გადასცემდა. ამიტომ მან დაცვას სთხოვა, რომ ადვოკატი შესულიყო და პირადად გაუწევდა მომსახურებას.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მის სამუშაო ოთახში შესვლის დროს ადვოკატს და მის თანხმლებ გოგონას შესთავაზა სკამები და თავად ცდილობდა ადვოკატისათვის სასურველი დოკუმენტაციის გადასაცემად გარკვეულ პირებთან კონტაქტზე გასვლას, ვინც უფლებამოსილებიდან გამომდინარე, შეძლებდა დახმარებას.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ამასობაში ადვოკატი დაინტერესდა მივიდოდა თუ არა 2 თებერვალს დაგეგმილ სასამართლოს სხდომაზე და როდესაც მისგან მიიღო დადებითი პასუხი, მუქანარევი და უხეში ტონით მიუთითა, რომ ეს არ გაეკეთებინა. მომჩივანი განმარტავს, რომ მან დიალოგის დაბრუნება სცადა კონსტრუქციულ ფორმატში და უთხრა, რომ მსგავსი სახის სარჩელის სასამართლოში განხილვა პრაქტიკისათვის იყო საინტერესო, თუმცა ადვოკატმა უფრო აგრესიულად მიუთითა, რომ მის საქმეებზე ცდების ჩატარება არ დაეწყო და ნახავდა, რაც მოხდებოდა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ამ დროს ოთახში უკვე იმყოფებოდა თბილისის საქალაქო ცენტრის უფროსი ნ. ბ. და ელექტრონულ პროგრამაში ეძებდა ადვოკატის მიერ მითითებულ დოკუმენტებს. ამ პროცესში ადვოკატმა ნ. ბ.-ს მისამართითაც გამოხატა აგრესიული ქცევა, დაუწყო ყვირილი და უხეში მიმართვა. ადვოკატი ხან ნ. ბ.-ს და ხან მას ეძახდა „ნაძირლებს“ მას შემდეგ, რაც მისგან მოისმინა, რომ არ აპირებდა ადვოკატთან შეეთანხმებინა გადაწყვეტილებები და შესთავაზეს, რომ თუ ახალი დოკუმენტი იქნებოდა საქმეში, ჩაიბარებდა თუ არა. მომჩივანის განმარტებით, მან ადვოკატს მშვიდად შეახსენა, რომ ერთ დროს, როდესაც „არაკაცი“ უწოდა ეს შერჩა და ამაზე უკვე აუცილებლად ექნებოდა რეაგირება. ამგვარი მომართვა ადვოკატმა არ უარყო და მიზეზად დაასახება გარემოება, რომ ერთ-ერთ სასამართლოს სხდომაზე მომჩივანმა მას „უზრდელი“ უწოდა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატის მხრიდან სიტყვიერი დაპირისპირების პერიოდში, ადვოკატმა სცადა ოთახში მდგომი მაგიდის ამოყირავება: ასწია მაგიდა ცალი მხრიდან, თქვა: „ახლა ამ მაგიდას ამოვაყირავებ“ და დახეთქებით დააბრუნა ადგილზე. ამავე დროს მან სააგენტოს ორი სოციალური მუშაკი მოიხსენია როგორც „ჯოჯო ქალები“. ამავე პერიოდში ადვოკატი მივიდა იმ მაგიდასთან, სადაც ნ. ბ. მუშაობდა და ხელი დაარტყა ფურცლების დასაწყობ საკანცელარიო ნივთს, რომლიც ზედაპირიც ჩავარდა. ეს ყველაფერი ხდებოდა ადვოკატის ყვირილის და მათთვის ღირსების შემლახავი სიტყვის (ნაძირალა) გამოყენების ფონზე. მომჩივანი განმარტავს, რომ მათ შეინარჩუნეს სიმშვიდე და აგრძელებდნენ დოკუმენტების მოძიებას.

1.7 მომჩივანის განმარტებით, ადვოკატის ყვირილის ხმაზე ოთახში რამდენიმე თანამშრომელმა შემოიხედა ცალ-ცალკე და იკითხეს, თუ რა ხდებოდა, რაზეც მისგან იყო პასუხის, რომ თუ გაიგეს რომ ადვოკატი „ნაძირალას“ ეძახდათ, რაზეც ადვოკატმა თქვა: „დიახ, ნაძირალა ხარ“ და

განაგრძო ღირსების შემლახავი ამ სიტყვით ხან მისთვის, ხან ნ. ბ.-სათვის და ხან ყველასთვის მიმართვა.

1.8 მომჩივანის განმარტებით, როდესაც ადვოკატს გადასცა ნ. ბ.-ს მიერ მოძიებული დოკუმენტები, ადვოკატმა რამდენიმე ფურცელი შეაყარა/მიმოფანტა, რითაც დოკუმენტების ჩაბარების დასტურზე ხელის მოწერაზე უარი გამოხატა, ამავე დროს მიმართა ყვირილით, უხეშად, ზიზღნარევი ტონით - „გაეთრიე აქედან“ და იგივე სიტყვების ძახილით, ადვოკატი გავიდა დერეფანში, სადაც აგრძელებდა მის მოხსენიებას ღირსების შემლახავი სიტყვებით. მომჩივანის პოზიციით, ადვოკატს განუმარტა, რომ ამ ფაქტზე ექნებოდა რეაგირება, თუმცა ადვოკატს ყვირილი არ გაუჩერებია და უფრო მეტი აგრესიით მოიხსენიებდა მას და მის ოჯახსაც, უწოდა „გათახსირებული“. ამ დროს ადვოკატი გავიდა მე-5 სართულის დერეფნიდან კიბეზე და შევიდა მე-4 სართულზე. კიბეზე ადვოკატს შემოხვდა დაცვის თანამშრომელი, რომელმაც სიმშვიდისაკენ მოუწოდა, მაგრამ ადვოკატი არ გაჩერებულა.

1.9 მომჩივანის განმარტებით, მოგვიანებით მისთვის ცნობილი გახდა, რომ ადვოკატი ყვირილით შეიჭრა სააგენტოს დირექტორის მისაღებში და ძალისმიერად სცადა დირექტორის ოთახში შეღწევა, თუმცა მისი მცდელობა დაცვამ აღკვეთა. ამის შემდეგ, ადვოკატი დაცვამ გააძევა შენობიდან.

1.10 მომჩივანის განმარტებით, ადვოკატის ამგვარი ქცევა პირველი არ ყოფილა. ადვოკატის მიერ მისი და სააგენტოს თანამშრომლების მიმართ უპატივცემულო, ადამიანის ღირსების შემლახავ ქმედებას აქვს სისტემატური ხასიათი.

1.11 2020 წლის ივნისში და ივლისში ერთ-ერთი სასამართლო სხდომის შემდეგ, ადვოკატი მას გამოედევნა სასამართლოს დერეფანში, უყვიროდა აგრესიულად და ხმამაღალი ტონით ეძახდა „ეტენებიო“. ადვოკატი გამოედევნა სასამართლოს ეზოშიც და უწოდა „არაკაცი“. მომჩივანი განმარტავს, რომ მიმართა სასამართლოს მანდატურს და საპატრულო ეკიპაჟს, რომ მიეცილებინათ ავტომობილამდე, რადგან ჰქონდა განცდა, რომ ადვოკატი ასეთ ქცევას გააგრძელებდა და ეს შესაძლოა ფიზიკური თავდასხმით დასრულებულიყო.

1.12 მომჩივანის განმარტებით, მისი საჩივრის მიზანია კომისიამ შეაფასოს, ხოლო მოპასუხე ადვოკატმა გაიაზროს თავისი ქცევა.

1.13 განხილვის კოლეგიის 2022 წლის 04 მაისის სხდომაზე მომჩივანმა დაადასტურა საჩივარში მითითებული ფაქტები და გარემოებები.

2. საპროცესო ეტაპზე საჩივრის ავტორის მოწმის თ. გ-ს ახსნა-განმარტება:

2.1 საჩივრის ავტორის მოწმემ, თ. გ-მ, რომელიც სააგენტოში იკავებს სოციალური პროგრამებით უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პოზიციას, ეთიკის კომისიის 2022 წლის 07 მარტის სხდომაზე განმარტა, რომ მისი სამუშაო ოთახი მდებარეობს იმ სართულზე, სადაც გ. კ.-ს სამუშაო ოთახია. სამუშაო საათების შემდეგ, 18:00 საათს გადაცდენილი იყო, მან გაიგონა, რომ დერეფანში ისმოდა ყვირილის ხმა, ასევე ისმოდა შეურაცხმყოფელი სიტყვები: „ნაძირალა“, „კორუმპირებულებო“, რის შემდეგაც გამოვიდა თავისი სამუშაო ოთახიდან და წავიდა ხმაურისკენ. ხმაური გამოდიოდა გ. კ.-ს სამუშაო ოთახიდან. მ.ოწმე განმარტავს, რომ შეაღო ოთახის კარი, რადგან ვერ ხვდებოდა რა ხდებოდა. მან დაინახა, რომ გ. კ.-ს სამუშაო მაგიდასთან

იჯდა ნ. ბ., იქვე იდგა გ. კ. და ოთახში კიდევ იყო მისთვის უცნობი 2 ადამიანი - მამაკაცი და გოგონა. მამაკაცი გ. კ.-ს ესაუბრებოდა ხელების გამოყენებით, ეჩხუბებოდა, ყვიროდა, იყენებდა სიტყვებს „ნაძირალა“, „კორუმპირებული“. ასევე ეჩხუბებოდა ნ. ბ-ს, რამდენად ეთანხმებით თქვენს გადაწყვეტილებებსო და ა.შ. გ. კ. ეუბნებოდა, რომ თავი შეეკავებინა.

2.2 მოწმის განმარტებით, ოთახში შესვლის შემდეგ მან დაურეკა დაცვის თანამშრომელს და სთხოვა ამოსვლა. ამის შემდეგ, ადვოკატი ა. კ. და მისი თანხმლები გოგონა გამოვიდნენ ოთახიდან და ადვოკატი კვლავ აგრძელებდა ჩხუბს, ხმაურს, სამსახურის და თანამშრომლების შეურაცხყოფას. ადვოკატმა ხმაურით დატოვა მათი სართული და დაეშვა კიბეებზე, სადაც უკვე შემოხვდა დაცვის თანამშრომელი.

2.3 მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატი სიტყვებს - „ნაძირალა“ და „კორუმპირებულო“ იყენებდა როგორც გ. კ.-ს, ასევე ნ. ბ.-ს მისამართით.

2.4 მოწმის განმარტებით, მას ნივთების მტვრევის ხმა არ გაუგონია.

3. საპროცესო ეტაპზე საჩივრის ავტორის მოწმის ე. ზ-ს ახსნა-განმარტება:

3.1 2022 წლის 07 მარტის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ ე. ზ-ნმა განმარტა, რომ სრულდებოდა სამუშაო დღე, როდესაც მისი ოთახის გვერდითა ოთახიდან, რომელიც არის გ. კ.-ს სამუშაო ოთახი, გაიგონა ჩხუბის და ყვირილის ხმა. შემდეგ შევიდა ოთახში და დაინახა, რომ გ. კ.-ს სამუშაო ადგილას იჯდა ნ. ბ. და რაღაცებს ბეჭდავდა. გ. კ. იდგა ფეხზე და მის წინ იდგა მამაკაცი (შემდეგ შეიტყო, რომ ის იყო ა. კ.). ასევე ოთახში იყო ქალბატონი, რომელიც ახლდა ა. კ.-ს.

3.2 მოწმის პოზიციით, ა. კ. იყო განერვიულებული, ყვიროდა, იყენებდა ტერმინს „სავარაუდო კორუმპირებულო“, „გათახსირებულო“, „ნაძირალა“. ადვოკატი ამ სიტყვებს იმეორებდა ნ. ბ.-ს და გ. კ.-ს მისამართით. ადვოკატის თანმხლები ქალბატონი იყო ჩუმად. როდესაც ადვოკატს საბუთები მისცეს ჩასაბარებლად, მან თქვა, რომ ხელს არ მოაწერდა და უკან დაუბრუნა. შემდეგ ადვოკატი გავიდა დერეფანში და მას ოთახიდან გამოყვა გ. კ., დერეფანში ადვოკატი მას კვლავ მიმართავდა სიტყვით „გათახსირებულო“. ამ დროს მათ სართულზე, გასასვლელ კართან ამოვიდა დაცვის თანამშრომელი და შემდეგ ადვოკატმა დატოვა მათი სართული. დერეფანში დაახლოებით იქნებოდნენ 7-8 ადამიანი, რომლებიც ხმაურის გამო გამოვიდნენ თავიანთი სამუშაო ოთახებიდან.

4. საპროცესო ეტაპზე საჩივრის ავტორის მოწმის ნ. მ.-ს ახსნა-განმარტება:

4.1 2022 წლის 07 მარტს საჩივრის ავტორის მოწმემ ნ. მ.-მა, რომელიც მუშაობს მეურვეობის, მზრუნველობის და მხარდაჭერის სერვისების სამმართველოში, მთავარი სპეციალისტის პოზიციაზე, განმარტა, რომ ადვოკატი ა. კ. დაახლოებით 17:30 – 18:00 საათებში მივიდა მათთან სამსახურში. მისი სამუშაო ოთახი მდებარეობს გ. კ.-ს სამუშაო ოთახის მოპირდაპირე მხარეს. მოწმე განმარტავს, რომ უშუალოდ ოთახში მომხდარ ფაქტს არ შესწრებია, კონფლიქტს შეესწრო ოთახის კართან. ასევე, მან დერეფანში გამოსული ადვოკატისაგან გაიგონა სიტყვები: „ნაძირალა“, რომელსაც იყენებდა გ. კ.-ს მისამართით. თავად გ. კ. და ნ. ბ. ადვოკატს ესაუბრებოდნენ მშვიდად. ნინო ბუჩუკურმა ადვოკატს უთხრა, რომ მასთან კონფლიქტში შესვლას არ აპირებდა.

4.2 მოწმის პოზიციით, გ. კ.-ს ხელში ეჭირა დოკუმენტები, რომელთა ჩაბარებაზეც ადვოკატი ხელს არ აწერდა. გამოსვლისას ადვოკატმა გ. კ.-ს მიაძახა: „შენისთანები ბევრი გეყოლება ოთახშიო“. ადვოკატი საუბრობდა ხმამაღლა და აგრესიული ტონით.

4.3 მოწმე განმარტავს, რომ ნ. ბ.-ს მიმართ არ ახსოვს ადვოკატს გამოეყენებინა სიტყვა „ნაძირალა“, თუმცა ადვოკატი ვერ აკონტროლებდა ხმის ტემბრს და ტონალობას.

4.4 მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატს თან ახლდა ახალგაზრდა ქალბატონი, რომელიც ასევე იყო მხარის წარმომადგენელი.

5. საპროცესო ეტაპზე საჩივრის ავტორის მოწმის გ. ს.-ის ახსნა-განმარტება:

5.1 2022 წლის 07 მარტის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ გ. ს.-მა განმარტა, რომ სააგენტოში არის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი. არასამუშაო დროს იმყოფებოდა მისი თანამშრომლის სამუშაო ოთახში, რომელიც მდებარეობს კიბის უჯრედის მიმდებარედ. მოწმე აღნიშნავს, რომ გარედან მოესმა ჯერ ხმამაღალი საუბრის, ხოლო შემდეგ ყვირილის ხმა. თავად არ ჩაერია, რომ მის ჩარევას სიტუაცია უფრო მეტად არ გაემწვავებინა. ხოლო შემდეგ როცა უკვე ხმები გაარჩია, გამოვიდა ოთახიდან და დაინახა, რომ გ. კ. იდგა კიბის უჯრედის ზედა ნაწილში და ყვიროდა ადვოკატი ა. კ. ადვოკატი გ. კ.-ს ეძახდა „ნაძირალას“.

5.2 მოწმე განმარტავს, რომ იქვე იყო დაცვის თანამშრომელიც. შემდეგ ადვოკატი სწრაფად წამოვიდა და შევარდა დირექტორის მისაღებში. მოწმე უკან გაჰყვა და დაინახა, რომ ადვოკატს ნაწილობრივ გაღებული ჰქონდა მისაღებსა და დირექტორის ოთახს შორის გამყოფი კარი, რაშიც ხელს უშლიდა დაცვის თანამშრომელი. შემდეგ ადვოკატი გავიდა მათი სართულიდან და მას თან გაჰყვა დაცვის თანამშრომელიც.

5.3 მოწმე განმარტავს, რომ ა. კ. იყო მარტო, მას თან არავინ ახლდა.

6. საპროცესო ეტაპზე საჩივრის ავტორის მოწმის ლ. კ.-ის ახსნა-განმარტება:

6.1 2022 წლის 07 მარტის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ, ადვოკატმა ლ. კ.-მა განმარტა, რომ 2018 წლიდან 2021 წლამდე ჩართული იყო ერთ-ერთ საქმეში, სადაც მეორე მხარეს წარმოადგენდა ადვოკატი ა. კ.. დავა იყო სამოქალაქო, თუმცა პარალელურ რეჟიმში მხარეთა შორის მიმდინარეობდა რამდენიმე ადმინისტრაციული დავაც, შესაბამისად, ძალიან ხშირად უწევდათ სოციალურ სამსახურთან კვეთა, პროცესებში მონაწილეობას იღებდა გ. კ.-ც.

6.2 მოწმის განმარტებით, ერთ-ერთი პროცესის დასრულების შემდეგ, ადვოკატი ა. კ. გაბრაზდა მათ მხარეზე და გ. კ.-ზე, რომლიც მიმართ ამჟავნებდა აგრესიას. ადვოკატი აგრესიას გამოხატავდა ცუდად, კერძოდ ადვოკატი გამოეკიდა გ. კ.-ს ჩხუბით, ეძახდა „არაკაცს“, იყენებდა ტერმინს „ეტენები“. ეს დაინახა მანდატურის სამსახურმა და გაჰყვათ მანდატური. სასამართლოს კიბეებზე ჩამოსვლისას ერთ სივრცეში გაჩერდნენ თავად, გ. კ., მანდატური და ა. კ.. მოწმე განმარტავს რომ ეჩქარებოდა, მაგრამ ადვოკატი იყო იმდენად აგრესიული, რომ გ. კ. მარტო არ დატოვა, გაუჩნდა განცდა, რომ ა. კ. ფიზიკურად დაუპირისპირდებოდა. გ. კ. თავის მანქანასთან მიაცილა საპარტულო პოლიციამ.

6.3 მოწმე განმარტავს, რომ მას გაუჩნდა განცდა, რომ მსგავსი ქცევა ა. კ.-ს მხრიდან არ იყო პირველი და უკანასკნელი. მოწმის შეფასებით, ადვოკატი ა. კ. თავის ემოციებს ვერ აკონტროლებს.

7. საპროცესო ეტაპზე საჩივრის ავტორის მოწმის ე. მ.-ს ახსნა-განმარტება:

7.1 2022 წლის 07 მარტის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ ე. მ.-მა, რომელიც პოზიციით არის სააგენტოს პროფესიული ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი განმარტა, რომ საღამოს საათებში სააგენტოს დირექტორთან - მ. მ.-სთან ერთად ჰქონდა სამუშაო შეხვედრა, რა დროსაც გაიგონა მამაკაცის ყვირილის ხმა, რომელიც გაგრძელდა დაახლოებით ნახევარი წუთი. სიტყვების გარჩევა იყო შეუძლებელი რადგან ხმა მოდიოდა ზედა სართულებიდან, კიბეებიდან. ეს ხმა მოახლოვდა მათი შეხვედრის ოთახთან. მ.ოწმე განმარტავს, რომ ადვოკატი ითხოვდა ოთახში შესვლას, თუმცა მ. მ.-ის თანაშემწემ განუმარტა, რომ ქალბატონი მ იმყოფებოდა შეხვედრაზე და ვერ ნახავდა.

7.2 მოწმის განმარტებით, მ. მ.-ის კაბინეტის კარი გაიღო ძალიან უხეშად, მან დაინახა ადვოკატი ა. კ., რომელსაც ხელში ფურცლები ეჭირა, მასთან ერთად იყო ქალბატონი მ-ს თანაშემწე და სამსახურის დაცვის თანამშრომელი, რომლებიც ფიზიკურად აკავებდნენ ა. კ.-ს და ეუბნებოდნენ, რომ ამ მომენტში ვერ შეხვდებოდა მ. მ.-ეს. მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატი ოთახში არ შესულა.

8. საპროცესო ეტაპზე საჩივრის ავტორის მოწმის ხ. თ-ის ახსნა-განმარტება:

8.1 2022 წლის 07 მარტის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ ხ. თ-მა განმარტა, რომ არის მთავარი სპეციალისტი, სოციალური მუშაკი. მოწმის განმარტებით, დაახლოებით 17:30 საათზე გაიგონა ხმამაღალი საუბარი, მისი ოთახი მდებარეობს გ. კ.-ს ოთახის გვერდით. ოთახიდან გამოდიოდა ყვირილის ხმა და გავიდა ფოიეში იმის გასაგებად, თუ რა ხდებოდა. მოწმემ დაინახა ადვოკატი ა. კ., რომელიც იყო გოგონასთან, თანაშემწესთან ერთად. ადვოკატი ილანძღებოდა გ. კ.-ს, მათი სამსახურის და ყველა მათგანის მისამართით, ადვოკატი ყვიროდა. ბოლოს ამოვიდა დაცვის თანამშრომელი, რომელმაც გაიყვანა ადვოკატი.

8.2 მოწმე განმარტავს, რომ კონკრეტულად ვერ იხსნებეს, რომელ სიტყვებს ამბობდა ადვოკატი, თუმცა ახსოვს, რომ ადვოკატი ამბობდა შეურაცხმყოფელ სიტყვებს, განსაკუთრებით გ. კ.-ს მიმართ. ეს ყველაფერი გაგრძელდა დაახლოებით 15 წუთი.

8.3 მოწმე განმარტავს, რომ გ. კ.-ს კაბინეტში ადვოკატი მაგიდაზე ურტყამდა ხელებს და ოთახის გარეთ ისმოდა ბრახუნის ხმა. შემდეგ ადვოკატი კაბინეტიდან გამოვიდა ფოიეში და იქ გააგრძელა ყვირილი.

8.4 მოწმე განმარტავს, რომ მასთან ერთად ფოიეში იყვნენ თ. გ., ს. გ., ასევე იურიდიული სამსახურის თანამშრომლები.

8.5 მოწმე განმარტავს, რომ ხმამაღალი საუბარი გაგრძელდა ქვედა - მეოთხე სართულზეც, სადაც არის მათი უფროსის კაბინეტი. შემდეგ უკვე გადმოცემით იცის, რომ ადვოკატი შევარდა დირექტორის კაბინეტში.

9. საპროცესო ეტაპზე საჩივრის ავტორის მოწმის ს. გ.-ს ახსნა-განმარტება:

9.1 2022 წლის 07 მარტის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ ს. გ.-ამ განმარტა, რომ მისი სამუშაო ოთახის გვერდით ოთახიდან - გ. კ.-ს კაბინეტიდან ისმოდა ხმამაღალი საუბარი, ჩხუბის ხმა. ადვოკატი ა. კ. იყო ძალიან აღელვებული.

9.2 მოწმე განმარტავს, რომ შემთხვევიდან გავიდა დიდი დრო და მას ზუსტად არ ახსოვს სიტყვები, რომლებსაც ადვოკატი იყენებდა.

10. საპროცესო ეტაპზე საჩივრის ავტორის მოწმის ა. პ.-ს ახსნა-განმარტება:

10.1 2022 წლის 07 მარტის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ ა. პ.-მ განმარტა, რომ არის დაცვის სამსახურის თანამშრომელი. დაახლოებით საღამოს 6 საათზე, კანცელარიიდან ერთ-ერთმა თანამშრომელმა სთხოვა, რომ მაღლა სართულზე ასულიყო, რადგან იყო ჩხუბი. როდესაც ადიოდა კიბეებზე, შეამჩნია ადვოკატის აგრესიულობა და ყვირილი გ. კ.-ს მიმართ. მოწმე განმარტავს, რომ მან ადვოკატს სთხოვა, დაეტოვებინა შენობა.

10.2 მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატმა ა. კ.-მა გ. კ.-ს უწოდა „ნაძირალა“ ან რაღაც ამის მსგავსი სიტყვა.

10.3 მოწმის განმარტებით, ა. კ.-ს თან ახლდა გოგონა. ა. კ.-ს უნდოდა, რომ შესულიყო დირექტორის ოთახში, მოწმე განმარტავს, რომ მას დაუდგა კარებში, რათა ადვოკატი არ შესულიყო დირექტორის ოთახში და თხოვდა შენობის დატოვებას. შემთხვევა გაგრძელდა დაახლოებით 20 წუთით.

10.4 ადვოკატმა შენობა დატოვა მასთან კომუნიკაციის შემდეგ და დასჭირდა, რომ ადვოკატისათვის მიემართა ხმამაღალი ტონით.

11. საპროცესო ეტაპზე საჩივრის ავტორის მოწმის ნ. ა.-ის ახსნა-განმარტება:

11.1 2022 წლის 07 მარტის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ ნ. ა.-მა განმარტა, რომ დასაქმებულია სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს აპარატის უფროსის პოზიციაზე. მოწმის განმარტებით, ადვოკატი ა. კ. მივიდა მათთან სამსახურში მესამე სართულზე და ადვოკატის მოსვლას მოჰყვა ხმაური. ადვოკატი შევიდა დირექტორის ოთახში. მოწმე განმარტავს, რომ თანამშრომლები საფინანსო სამმართველოში იყვნენ შეკრებილები, მოესმათ ხმაური და გარეთ გამოვიდნენ ვითარების გასარკვევად. მათ დაინახეს, რომ მამაკაცი, ქალბატონთან ერთად მოდიოდა და მიიწევდა დირექტორის კაბინეტისკენ, თან ყვიროდა სიტყვებს „ნაძირალა“, „არაკაცი“. მოწმე განმარტავს, რომ იკითხა თუ ვინ იყო ეს ადამიანი და გაიგო, რომ ეს იყო ადვოკატი ა. კ., რომელიც იყო მისული გ. კ.-თან და ამასთან დაკავშირებით ყვიროდა.

11.2 მოწმე განმარტავს, რომ ადვოკატის ხმაურიანმა შემოსვლამ მოიცვა მთელი სართული. ადვოკატს დაცვამ არ მისცა საშუალება, რომ შესულიყო დირექტორის ოთახში.

12. ადვოკატის პოზიცია:

12.1 ადვოკატმა ა. კ.-მა 2022 წლის 22 თებერვალს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება ნ. ბ.-ს საჩივრიდან გამომდინარე, სადაც მიუთითა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაშია გ. ზ.-ის სარჩელი ნ. მ.-ის მიმართ, სადაც დავის საგანია: შვილების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა. ასევე, სასამართლოს წარმოებაშია ნ. მ.-ის შეგებებული სარჩელი გ. ზ.-ის მიმართ, სადაც დავის საგანია შვილიშვილების საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, ალიმენტის დაკისრება, ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანის უფლება. ამ საქმეზე, როგორც ადვოკატი, წარმოადგენს ნინო მამრაძის ინტერესებს.

12.2 ადვოკატის განმარტებით, 2022 წლის 25 იანვარს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიმართ გააგზავნა წერილი, რომლითაც

სააგენტოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სურდათ 30.11.21 გადაწყვეტილების ფარგლებში ადმინისტრაციული საქმისწარმოების მასალების ასლები. მათ მიერ წერილი სააგენტოში გაიგზავნა ელექტრონული ფოსტით და მიღება დაუდასტურეს.

12.3 ადვოკატის განმარტებით, 2022 წლის 26 იანვარს, ნ. მ.-ის სხვა წარმომადგენელთან, ლ.ზ-სთან ერთად მივიდა სააგენტოში. პირველად მივიდა კანცელარიაში და დაარეგისტრირა წერილი კონკრეტული სოციალური მუშაკების უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნით (წერილი დარეგისტრირდა 16:56 სთ-ზე). ადვოკატი განმარტავს, რომ ერთ-ერთმა სოციალურმა მუშაკმა მისი გამოჩენისთანავე დატოვა შენობა.

12.4 ადვოკატის განმარტებით, მან გაარკვია, რომ უფლებამისილი პირი, ვისგანაც უნდა მიეღო ადმინისტრაციული მასალები, იყო გ. კ., იქვე განუმარტეს, რომ გ. კ. შენობაში არ იმყოფებოდა, ადვოკატმა მოითხოვა სხვა უფლებამოსილი პირი, ვინც მასალებს გადასცემდა. მასალების მისაცემად უფლებამოსილი პირის გარკვევაში გავიდა შეუსაბამოდ დიდი დრო, სამუშაო დროის ამოწურვას აკლდა დაახლოებით 15 წუთი, როდესაც მან განაცხადა, რომ მასალების გარეშე არ წავიდოდა და გადაადგილდა ზემდგომ სართულებზე, მას უკან გაჰყვა დაცვის თანამშრომელი. ადვოკატი განმარტავს, რომ ამ პროცესში მისთვის უცნობმა მამაკაცმა განმარტა, რომ - „გაეშვათ, გ. კ. იყო ადგილზე და გაესაუბრებოდა“. დაცვის თანამშრომელმა დაურეკა გიორგი კუპრეიშვილს, შეამოწმა მისი სამსახურში ყოფნის ფაქტი და მას, ლ. ზ..-სთან ერთად, ნება დართო გადაადგილებულიყო შენობის მეხუთე სართულზე, კონკრეტულ სამუშაო ოთახში - ოთახის ნომერი აცნობეს.

12.5 ადვოკატის განმარტებით, მან ფოიეში ყოფნის დროს დაინახა, რომ სააგენტოში მივიდა სააგენტოს დირექტორი - მ. მ..

12.6 ადვოკატის განმარტებით, მივიდა გ. კ.-ს სამუშაო ოთახში, მას მიესალმა. გ. კ.-მა განუმარტა, რომ იმყოფებოდა სამუშაო შეხვედრაზე და წუხდა, რომ ადვოკატს დასჭირდა ლოდინი 1 საათზე მეტ ხანს. ადვოკატმა განმარტა, რომ პრეტენზია არ გამოუთქვამს, მისთვის მთავარი იყო მიეღო ადმინისტრაციული საქმის მასალები. გ. კ.-მა მას და ლ. ზ..-ს ნება დართო, დამჯდარიყვნენ ოთახის კუთხეში, თავისუფალ მაგიდასთან. ამასთან, გ. კ.მა განაცხადა, რომ საქმის მასალების მოთხოვნის შესახებ განცხადება მას არ ეწერა შესასრულებლად და პროგრამულად არკვევდა პასუხისმგებელ პირს. ასევე განაცხადა, რომ მასალებს ამობეჭდავდა და გადასცემდა.

12.7 ადვოკატი განმარტავს, რომ გ. კ.-ს დაუსვა კითხვა - დაესწრებოდა თუ არა სოციალური მუშაკების გასაჩივრებული დასკვნების სამართალწარმოების საქმეს, რაზეც გ. კ.-მა განმარტა, რომ დაესწრებოდა, რადგან საქმე იყო პრეცედენტული და ესქპერიმენტული. ადვოკატი განმარტს, რომ გააკეთა კომენტარი: „საქმე ნამდვილად იყო პრეცედენტული მაგრამ კარგი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო ექსპერიმენტული, და რომ სააგენტოს ბავშვების ინტერესის დაზიანების გამო, ექსპერიმენტი არ უნდა გაეკეთებინა.

12.8 ადვოკატი განმარტავს, რომ ამ საუბარში გ. კ.-მა განაცხადა, რომ ადმინისტრაციული საქმის მასალები შესასრულებლად ეწერა ნ. ბ.-ს, რომელსაც დაურეკა გ. კ.-მა და რამდენიმე წუთში, ნ. ბ. ოთახში შევიდა, მისალმების გარეშე დაჯდა კომპიუტერთან და დაიწყო ადმინისტრაციული საქმის მასალების პროგრამიდან ამობეჭდვა. ამ დროს გ. კ.-მა მას მიაწოდა თავის მიერ ამობეჭდილი მასალები, კონკრეტულად სამართალდარღვევის აქტი და მიუთითა ადვოკატს, თუ

სად უნდა მოეწერა ხელი ჩაბარებისათვის. ადვოკატის განცხადებით, მან კატეგორიული ტონით დააფიქსირა პოზიცია, რომ ხელს არ მოაწერდა არავითარ დოკუმენტს, რაზეც გ. კ.-მა ხმამაღალი ტონით უპასუხა - „ეს ჩვენი პრობლემა არ არის, ეს შენი საქმეა. ჩვენ გაძლევთ მასალებს“.

12.9 ადვოკატის განმარტებით, მან განუცხადა გ. კ.-ს, რომ არ სურდა მასთან რაიმე ფორმით დისკუსია, ელოდებოდა გადაეცათ მასალები და წასულიყო. თავის მხრივ, გ. კ. ქმნიდა პანიკას, ხმაურს, მაღალ ხმაზე დაიწყო საუბარი მის მიმართ და მოუწოდებდა, რომ სიმშვიდე შეენარჩუუნებინა, რადგან მიმდინარეობდა სამუშაო პროცესი (სამუშაო პროცესი უკვე იყო დასრულებული, რადგან იყო 18:20 სთ). ადვოკატი განმარტავს, რომ ამ საუბრისათვის ყურადღება არ მიუქცევია და მივიდა პრინტერთან, რომელიც იდგა გასასვლელ კართან, რომ დაბეჭდვის შემდეგ მასალები აეღო. ამ დროს ნ. ბ.-ს ჰკითხა - იზიარებდა თუ არა საქალაქო ცენტრის უფროსი სოციალური მუშაკების დასკვნებში არსებულ მოსაზრებებს, რომელი დასკვნებიც იყო გაყალბებული. კითხვაზე ნ. ბ.-მა მშვიდი ტონით უპასუხა, რომ იზიარებდა დასკვნებს და მასთან კონფლიქტში შესვლა არ სურდა. ადვოკატმა განაცხადა - თუ სად ხედავდა კონფლიქტს და მადლობა გადაუხადა განმარტებისათვის.

12.10 ადვოკატის განმარტებით, მან გ. კ.-ს მოუწოდა, რომ ნუ იქცეოდა ისე, როგორც მოიქცა ე.წ. ჩეხების საქმეზე (მოწოდების კონტექსტი იყო, რომ გ. კ.-ს დაეცვა ზრდილობის ელემენტარული წესები). ამ გარემოების შეხსენების დროს, გ. კ. უკვე ღრიალით ეკითხებოდა ადვოკატს: ახლაც ფიქრობდა თუ არა რომ იყო არაკაცი და ნაძირალა, რაზეც ადვოკატმა უპასუხა, რომ თუ ახალგაზრდა კომპოზიტორის საქმეზე გამოვლენილ ფარულ და შეთანხმებულ, კორუმპირებულ გარიგებაში მისი მონაწილეობა ფიქსირდებოდა, თუ დოკუმენტების მომზადება მისი დაქვემდებარებით ხდებოდა, თუ იგი ამართლებდა სოციალური მუშაკების საქმიანობას, მაშინ შედეგებზე პასუხისმგებლობა უნდა აეღო და საკუთარი თავიც თავად უნდა შეეფასებინა.

12.11 ადვოკატის განმარტებით, ამ დროს კართან მივიდა მისთვის უცნობი ქალბატონი, რომელიც სავარაუდოდ იყო სააგენტოში დასაქმებული, მას მიმართა გ. კ.-მა: „დააფიქსირე დააფიქსირე ეს ყველაფერი, თქვენ მოწმის სახით გამოხვალთ და იტყვით რომ ადვოკატი გვემუქრება და მეძახის ნაძირალას“, ამავე დროს გ. კ. მათ მოუწოდებდათ, რომ დაეტოვებინათ ოთახი. ადვოკატის განმარტებით, მან გ. კ.-ს განუცხადა, რომ ამ ქცევით გ. კ. უწყობდა პროვოკაციას და უნდა შეეწყვიტა მისი და მისი თანმხლები პირის მიმართ უდიერი დამოკიდებულება და შეურაცხყოფა.

12.12 ადვოკატის განმარტებით, ამ პერიოდში ნ. ბ-მა დაასრულა მასალების ამობეჭდვა, მასალები აიღო გ. კ.-მა, რომელმაც ადვოკატს განუცხადა, რომ ფურცელზე ხელმოწერით დაეფიქსირებინა ამ მასალების ჩაბარებაც. ადვოკატი განმარტავს, რომ მან დუმილით გამოართვა მასალები, დატოვა ოთახი და ფოეში ხმამაღლა განაცხადა ფრაზა: „სირცხვილია, სირცხვილია ასეთი მოქცევა. პ.ასუხს აგებს ყველა, ბავშვების და ქალბატონი ნ-ს დასჯისთვის“. ამ პერიოდში მას დაედევნა გ. კ. დაცვის თანამშრომელთან ერთად, გასასვლელ კართან, სადაც იწყება ქვედა სართული, გზა გადაუკეტა და მიმართა: „დამსჯი ხომ? ფიზიკურადაც ცემას ხომ არ მიპირებ“, ადვოკატი განმარტავს, ამაზე უპასუხა, რომ „ძალადობა მისი მოგონილია“. ამ დროს დაცვის თანამშრომელი აკავებდა გავეშებულ გ. კ.-ს, ხოლო მას მოუწოდა, რომ გაესწორებინა პირბადე, რაც ადვოკატმა გაითვალისწინა.

12.13 ადვოკატი განმარტავს, რომ ლ. ზ..-სთან ერთად გადაინაცვლა მეოთხე სართულზე, სადაც მდებარეობდა დირექტორის - მ. მ.-ის კაბინეტი. შევიდა მისაღებში და თანაშემწეს ჰკითხა, იმყოფებოდა თუ არა დირექტორი ადგილზე. თანაშემწემ განუმარტა, რომ მ. მ. ადგილზე არ იმყოფებოდა. ადვოკატმა თანაშემწეს უთხრა დირექტორისათვის გადაეცა, რომ დაწესებულებაში მოხდა პროვოკაცია, ხოლო ახალგაზრდა კომპოზიტორის საქმეზე, რომელზეც მხილებამ გააწიწმატა გ. კ. სხვები, მას გააჩნდა უამრავი წერილი წარდგენილი. კანცელარიაში ადვოკატს უთხრეს, რომ წერილებს მ. მ. არ ეცნობა და უმჯობესი იქნებოდა პირადად გასაუბრებოდა ამ საკითხზე. ადვოკატი განმარტავს, რომ ამ დროს მან ჩამოწია დირექტორის კაბინეტის კარი და დაინახა, რომ დირექტორი იმყოფებოდა კაბინეტში, თუმცა დაცვის თანამშრომლის თხოვნის საფუძველზე, კაბინეტში არ შესულა.

12.14 ადვოკატის განმარტებით, მან თანაშემწეს და დაცვის ადგილზე მყოფ მხოლოდ ერთ თანამშრომელს მოუწოდა, რომ გაეკონტროლებინათ ზედა სართულზე ადმინისტრაციული მოხელის ქცევა, რომელიც ცდებოდა ეთიკის ნორმებს. ამის შემდეგ, სრულიად დამოუკიდებლად, თანმხლებ პირთან ერთად, დატოვა მეოთხე სართული და შენობა.

12.15 ადვოკატი განმარტავს, რომ გ. კ.-ს მიერ მოწყობილი პროვოკაციისა და კლიენტის დაჯარიმების ფაქტზე, შემთხვევიდან 1 საათში, საჯარო განცხადება გააკეთა სოციალური ქსელის Facebook Live-ის მეშვეობით.

12.16 ადვოკატის განმარტებით, გ. კ.-მა სპეციალურად ალოდინა დაახლოებით 1 საათით და სპეციალურად არ შეხვდა. მათთვის არც სკამი შეუთავაზებია. ადვოკატი განმარტავს, რომ გ. კ.-სათვის მუქარანარევი და უხეში ტონით არ მიუმართავს.

12.17 ადვოკატი განმარტავს, რომ საჩივარში წარმოდგენილი არც ერთი გარემოება შეესაბამება სიმართლეს და არ არის გამყარებული მტკიცებულებით.

12.18 ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტის საუკეთესო ინტერესის დაცვის მიზნით, მივიდა სააგენტოს შენობაში, რათა მიეღო საქმის მასალები, სადაც მის მიმართ ჰქონდათ მტრული დამოკიდებულება და სცადეს, მოეწყოთ პროვოკაცია. საჩივრის მიზანია, რევიზია გაუკეთონ ადვოკატის სტრატეგიას და შელახონ მისი სახელი საჯარო სივრცეში, რაც არღვევს ადვოკატის დამოუკიდებლობას.

12.19 2022 წლის 22 მარტს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ მომჩივანის მოწმეთა ჩვენებები ურთიერთგამომრიცხავია. არც ერთი მოწმე არ იმყოფებოდა სამუშაო ოთახში. სამუშაო ოთახში იმყოფებოდნენ მხოლოდ თავად, ლ. ზ.., გ. კ. და შემდეგ შევიდა ნ. ბ.. შესაბამისად, ოთახში არ მყოფი პირი ვერ ისაუბრებს იმ მოვლენებზე, რაც ოთახში ყოფნის დროს განვითარდა. მოწმეთა ჩვენებები დაფუძნებულია იმ მოსაზრებებზე, რომლებიც მოწმეებმა მიიღეს ნ. ბ.-სა და გ. კ.-საგან, ისინი არ არიან საკითხის თვითმხილველნი. ადვოკატი ადასტურებს, რომ კართან მივიდა მისთვის უცნობი ქალბატონი, თუმცა ამ ქალბატონმა დაუყოვნებლივ დატოვა ოთახი და ის ოთახში საუბრის თვითმხილველი ვერ იქნება. ადვოკატი განმარტავს, რომ მას არც ერთ მოწმე დაუნახავს დერეფანში. ასევე, მან არ იცის მოწმეები იმყოფებოდნენ თუ არა სამუშაო რეჟიმში, რადგან სამუშაო საათები უკვე იყო დასრულებული.

12.20 ადვოკატი განმარტავს, რომ მან გ. კ. ამხილა დოკუმენტის გაყალბებაში, რის გამოც გ. კ.-მა საჯაროდ უწოდა - უზრდელი.

12.21 ადვოკატმა განმარტა, რომ ფოიეში ხმამაღალ შეძახილს: „ამაზე რეაგირება იქნება“ -ადასტურებს.

12.22 განხილვის კოლეგიის 2022 წლის 04 მაისის სხდომაზე ადვოკატმა დაადასტურა ახსნა-განმარტებაში მითითებული გარემოებები.

13. საპროცესო ეტაპზე ადვოკატის მოწმის ლ. ზ..-ს პოზიცია:

13.1 2022 წლის 22 მარტს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატის მოწმემ ლ. ზ..-მ განმარტა, რომ ადვოკატ ა. კ.-თან ერთად იმყოფებოდა მეურვეობისა და მზრუნველობის სააგენტოში. მათ წინა დღეს გააფრთხილეს სააგენტო, რომ მეორე დღეს მივიდოდნენ დოკუმენტების ჩასაბარებლად.

13.2 მოწმის განმარტებით, ადვოკატმა ა. კ.-მა კანცელარიაში იკითხა, ეცნობოდა თუ არა წერილებს მ. მ., განუმარტეს, რომ არ ეცნობოდა რადგან წერილები შინაარსის მიხედვით შესასრულებლად ეწერებოდა სხვადასხვა თანამშრომელს.

13.3 მოწმის განმარტებით, დაახლოებით საათნახევარი ალოდინეს სანამ გაირკვეოდა, თუ ვის უნდა მიეცათ მათთვის დოკუმენტები. კანცელარიაში თავიდან განუცხადეს, რომ გ. კ. შენობაში არ იმყოფებოდა, თუმცა შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის იყო თავის სამუშაო ოთახში და კანცელარიიდან მასალების მისაღებად ავიდნენ გ. კ.-ს სამუშაო ოთახში.

13.4 თავიდან მასალების ამობეჭდვას ცდილობდა გ. კ., ხოლო შემდეგ დაურეკა ნ. ბ.-ს და მან დაიწყო დოკუმენტების ამობეჭდვა. ამავე პერიოდში ა. კ.-მა ჰკითხა გ. კ.-ს დაესწრებოდა თუ არა ერთ-ერთ საქმეზე სასამართლოს, გ. კ.-მა უთხრა რომ შეეცდებოდა, რადგან საქმე იყო ექსპერიმენტული. მოწმე განმარტავს, რომ დარჩა გაკვირვებული, რადგან გ. კ.-მა სიტყვა „საცდელი“ გამოიყენა უკიდურესად სენსიტიური საქმის მიმართ.

13.5 მოწმის განმარტებით, ა. კ.-მა ნ. ბ.-ს ჰკითხა იზიარებდა თუ არა სააგენტოს წარმომადგენლების გადაწყვეტილებებს ამ საქმეზე, ნ. ბ.-მა განუცხადა, რომ იზიარებდა.

13.6 მოწმის განმარტებით, მას აქვს ინფორმაცია, რომ ერთ-ერთი საქმის მიმდინარეობისას გიორგი კუპრეიშვილმა ა. კ.-ს უწოდა „უზრდელი“. სააგენტოში შეხვედრისას კი ესაუბრებოდა ნიშნის მოგებით, ჰქონდა ცინიკური ინტონაცია და ცინიკური დამოკიდებულება. მოწმე განმარტავს, რომ ასეთი დამოკიდებულების გამო ა. კ. არ გაღიზიანებულა, თუმცა ეტყობოდა გაკვირვება.

13.7 მოწმის განმარტებით, შეხვედრისას არ ყოფილა ხმამაღალი საუბარი. ასევე, ა. კ.-ს მიერ ვინმეს მისამართით შეურაცხმყოფელი ფრაზები არ ყოფილა გამოყენებული.

13.8 მოწმის განმარტებით, დოკუმენტების აღების შემდეგ, ოთახიდან მათ გამოჰყვათ გ. კ., რომელიც ცდილობდა სიტუაციის გამწვავებას და ა. კ.-ს პროვოცირებას. ამ დროს მათ შეხვდათ დაცვის თანამშრომელი, რომელმაც ა. კ.-ს სთხოვა გაესწორებინა პირბადე, ადვოკატმა თხოვნა გაითვალისწინა და ისინი ჩავიდნენ ქცევით სართულზე, სადაც იყო დირექტორის - მ. მ.-ის კაბინეტი. მოწმის განცხადებით, იცოდნენ, რომ მ. მ.. იყო სამსახურში, თუმცა მისმა მდივანმა განუმარტათ, რომ არ იყო სამსახურში, რაც აღმოჩნდა ტყუილი, რადგან მ. მ. იმყოფებოდა თავის კაბინეტში, რომელსაც ა. კ.-მა უთხრა, რომ გაეკონტროლებინა თავისი თანამშრომლების მუშაობა.

13.9 მოწმე განმარტავს, რომ გ. კ.-ს სამუშაო ოთახში იყვნენ თავად და ა. ჩ, გ. კ. და ნ. ბ.. მოწმემ განმარტა, რომ ოთახში არავინ შესულა, შეიხედა მხოლოდ ერთმა ადამიანმა, რომელიც თან ტელეფონზე საუბრობდა.

14. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

14.1 2022 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ა. კ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

14.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ა. კ.-მა დაარღვია პროცესის მონაწილის პატივისცემის ეთიკური ვალდებულება, მის მიერ დარღვეული იქნებოდა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5.გ მუხლი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.4 მუხლი.

II სამოტივაციო ნაწილი

15. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

15.1 **უდავო ფაქტები:**

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

15.1.1. ადვოკატი ა. ჩ., ლ. ზ..-სთან ერთად, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში იმყოფებოდა 2022 წლის 26 იანვარს იმ მიზნით, რომ კლიენტის საქმეზე მიეღო საქმის მასალები. ადვოკატს მასალების მისაღებად დასჭირდა ლოდინი, დაახლოებით 1 საათის განმავლობაში. ადვოკატი საქმის მასალების მისაღებად იმყოფებოდა მომჩივანის, გ. კ.-ს სამუშაო ოთახში. თავდაპირველად, ოთახში იმყოფებოდნენ გ. კ., ადვოკატი ა. ჩ. და ლ. ზ.., შემდეგ ოთახში შევიდა ნ. ბ..

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

მხარეთა წერილობით და ზეპირი პოზიციები;

მოწმეთა ზეპირი პოზიციები;

განხილვის კოლეგიის 2022 წლის 04 მაისის სხდომის ოქმი.

15.2 **სადავო ფაქტები:**

15.2.1 საქმეში სადავოა, მხარეთა ადვოკატ ა. კ.-ს ქცევა გ. კ.-ს ოთახში ვიზიტისას და სააგენტოს დერეფანში.

მომჩივანის პრეტენზიით, ოთახში ვიზიტისას ადვოკატმა სცადა მაგიდის აყირავება და მუშტი დაარტყა საკანცელარიო თეფშს. ადვოკატი მსგავს ფაქტს უარყოფს.

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები

სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე“, ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები“. საქმისწარმოების განხილვის ეტაპზე, ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2b/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ ამასთან, სსსკ-ის 102.1 მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. კოლეგია განმარტავს, რომ ამ კონკრეტული ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება მომჩივანს, რომელმაც კოლეგიას მოაწოდა მტკიცებულება - მოწმეთა პოზიციები. მომჩივანის მიერ წარმოდგენილი 10 მოწმისაგან მხოლოდ ერთი მოწმე, ხატია თაბუკაშვილი განმარტავს, რომ ადვოკატი ა. კ. გ. კ.ს კაბინეტში მაგიდაზე ურტყამდა ხელებს და ოთახის გარეთ გამოდიოდა ბრახუნის ხმა. კ.ოლეგია განმარტავს, რომ აღნიშნული მოწმე იმყოფებოდა ოთახის გარეთ და მისი პოზიცია, ოთახის შიგნით მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, კოლეგიისათვის სარწმუნო არ არის.

კოლეგიის შეფასებით, წარმოდგენილი მტკიცებულებებით, მომჩივანის პრეტენზია, რომ ადვოკატმა სცადა მაგიდის აყირავება და მუშტი დაარტყა საკანცელარიო თეფშს, არ დასტურდება.

15.2.2ადვოკატი ა. კ. გ. კ.-ს ხმამაღალი ტონალობით, ჩხუბით მოიხსენიებდა მას ღირსების შემლახავი სიტყვებით: „ნაძირალა“, „კორუმპირებულო“, „გათახსირებულო“.

ადვოკატი მსგავსი ლექსიკის გამოყენებას უარყოფს, თუმცა ადასტურებს ხმამაღალ საუბარს და ფრაზას: „ამაზე რაგირება იქნება“.

კოლეგიამ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები: თავისი პრეტენზიის დასადასტურებლად მომჩივანმა კომისიას წარმოუდგინა მტკიცებულებები - მოწმეთა პოზიციები. მოწმეთა ჩვენებები თანმიმდევრულია. ადვოკატის მხრიდან ხმამაღალი საუბრის და ყვირილის ფაქტს ადასტურებს ყველა მოწმე. ადვოკატის მიერ წარმოდგენილი მოწმე, ლ. ზ. უარყოფს ადვოკატ ა. კ.-ს მიერ ყვირილის ან სადავო ტერმინოლოგიის გამოყენების ფაქტს.

მომჩივანის 10 მოწმისაგან, სიტყვა „ნაძირალა“-ს გამოყენების ფაქტს თავის ჩვენებაში იხსენიებენ მოწმეები: ა. პ., თ.გ, ე. ზ, გ. ს. და ნ. მ. აღნიშნული მოწმეები განმარტავენ, რომ ადვოკატ ა. კ.-ს მიერ გამოყენებული ეს სიტყვა მიემართებოდა გ. კ.-ს. სიტყვა „კორუმპირებულობო“-ს გამოყენების ფაქტს ადასტურებენ მოწმეები: თ. გ და ე. ზ (სავარაუდო კორუმპირებულო). სიტყვა „გათახსირებულო“-ს გამოყენების ფაქტს ადასტურებს მოწმე ე. ზ.

ადვოკატის მოწმის პოზიცია ეწინააღმდეგება მომჩივანის მოწმეთა პოზიციას. ლ. ზ. განმარტავს, რომ ადვოკატ ა. კ.-ს სადავო ტერმინები არ გამოუყენებია.

მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები - მოწმეთა პოზიციები ურთიერთგამომრიცხავია. მართალია მომჩივანს წარმოდგენილი ჰყავს არაერთი მოწმე, რომელთა პოზიციებს უპირისპირდება ადვოკატის ერთი მოწმის პოზიცია, თუმცა კოლეგია მხედველობაში იღებს გარემოებას, რომ მომჩივანის მოწმეები არიან სააგენტოს თანამშრომლები, ერთმანეთთან დაკავშირებული პირები. ამასთან, სოციალურ სამსახურს ადვოკატ ა. კ.-ს მიმართ აქვს ნეგატიური დამოკიდებულება - მომჩივანმა სასამართლოს სხდომის მიმდინარეობისას ადვოკატ ა. კ.-ს უწოდა „უზრდელი“ და რისთვისაც მან ბოდიში მოუხადა სასამართლოს და არა ადვოკატს, ასევე, ეთიკის კომისიის სხდომაზე მომჩივანს ადვოკატისათვის ბოდიში არ მოუხდია. კ.ომისია ყურადღებას ამახვილებს ფაქტზე, რომ გ. კ. სთხოვდა ადვოკატს ჩაებარებინა დოკუმენტი - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც შედგენილი იყო სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების“ სააგენტოში ა. კ.-ს მარწმუნებლის მიმართ, იმ გარემოებაში, რომ თავად არ იყო ოქმის ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირი. ადვოკატმა ოქმი არ ჩაიბარა. გ. კ. ადვოკატ ა. კ.-ს გაჰყვა სამუშაო ოთახის გარეთ, სააგენტოს დერეფანში და ცდილობდა კამათის გაგრძელებას ფრაზით - „კიდევ რა ეპითეტით მოიხსენიებდა მას“. ადვოკატი ა. კ. განმარტავს, რომ მის მიმართ სააგენტოს ნეგატიური დამოკიდებულება შესაძლოა იმ გამოიწვია გარემოებამ, რომ მან კლიენტის ინტერესის დასაცავად ჩაატარა პრესკონფერენცია სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების“ სააგენტოში თანამშრომელთა ქმედებებთან და საქმიანობასთან მიმართებით; ასევე ადვოკატის ორგანიზაციამ პროქტის ფარგლებში დაიწყო სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დახმარების“ სააგენტოში თანამშრომელთა საქმიანობის მონიტორინგი. ამ ფაქტების გათვალიწინებით, სააგენტოში მისულ ადვოკატ ა. კ.-ს დახვდა ნეგატიური დამოკიდებულება, რამაც შესაძლოა გამოიწვია მისი სამართლიანი გაღიზიანება. ამავდროულად მნიშვნელოვანია ის ფაქტობრივი გარემოებაც, რომ სააგენტოს თანამშრომელთა მხრიდან, არ შესულა შეტყობინება პოლიციაში ადვოკატის მიერ სააგენტოში წესრიგის დარღვევის თაობაზე და არ მომხდარა პოლიციის მხრიდან რეაგირება. კ.ოლეგია ყურადრებას ამახვილებს, რომ მხარეები ნებისმიერი ურთიერთობისას ვალდებულნი არიან ერთმანეთისადმი იყვნენ განმსჭვალულნი პატივისცემით და არ ცდილობდნენ ურთიერთობის გაწვავებას.

მტკიცებულებათა შეფასებისას განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაეს კანონზე, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 ნაწილზე, რომლის თანახმად: „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი – უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“.

იმის გათვალისწინებით, რომ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება არის შემაჯამებელი გადაწყვეტილება, კომისია ვერ დაეყრდნობა სავარაუდო გარემოებებს. შესაბამისად, წარმოდგენილი მტკიცებულებით მომჩივანი ვერ ადასტურებს, რომ ადვოკატმა ა. კ.-მა მის მიმართ გამოიჩინა უპატივცემულობა და უწოდა ტერმინები: „ნაძირალა“, „კორუმპირებულო“, „გათახსირებულო“.

15.2.3 2020 წელს, ერთ-ერთი სასამართლო სხდომის შემდეგ, ადვოკატი ა. კ. დაედევნა გ. კ.-ს სასამართლოს შენობაში, ასევე სასამართლოს შენობის გარეთ, სასამართლოს ეზოში და უწოდა „არაკაცი“; ასევე გ. კ.-ს მისამართით გამოიყენა ტერმინი - „ეტენები“.

ადვოკატი აღნიშნულ პრეტენზიას უარყოფს.

პრეტენზიის დასადასტურებლად მომჩივანმა კომისიას წარმოუდგინა მტკიცებულება - მოწმის განმარტება. მომჩივანის მოწმე, ლ. კ. ადასტურებს, რომ ადვოკატი ა. კ. სასამართლოს სხდომის დასრულების შემდეგ გაჰყვა გ. კ.-ს სასამართლოს შენობაში და შენობის გარეთ და მას უწოდა „არაკაცი“ და ხშირად იყენებდა სიტყვას - „ეტენები“.

კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატი ლ. კ. დავაში ჩართული იყო როგორც კლიენტის წარმომადგენელი და შესაბამისად, ის არის საქმის შედეგით დაინტერესებული ადვოკატი. ამასთან, ადვოკატ ლ. კ.-ის მიმართ ადვოკატ ა. კ.-ს მოთხოვნის საფუძველზე ერთ-ერთმა სახელმწიფო ორგანომ გაატარა ღონისძიებები, რამაც შესაძლოა გამოიწვია ადვოკატ ა. კ.-ს მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება, რის გამოც ადვოკატი ლ. კ. ვერ იქნება ნეიტრალური და მიუკერძოებელი მოწმე. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი არ არის სასამართლოს მანდატურის ან პოლიციის პოზიცია, რომელთა დახმარების საჭიროებაზეც საუბრობს მომჩივანი. შესაბამისად, კომისიას მიაჩნია, რომ წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით, ადვოკატ ა. კ.-ს გ. კ.-ს მიმართ არ გამოუყენებია სიტყვები: „არაკაცი“ და „ეტენები“.

16. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ა. კ.-ს მიერ არ არის ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა.

17. სამართლებრივი შეფასება:

17.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ა. კ.-ს მიერ დარღვეული არ არის შემდეგი ნორმები:

17.2 „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის მონაწილეთა უფლებები“ (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(გ)).

17.3 „ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას“ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.4).

17.4 ადვოკატი ვალდებულია პატივისცემა გამოიჩინოს პროცესის მონაწილეების მიმართ. აღნიშნული ვალდებულება არ მოქმედებს მხოლოდ სასამართლო პროცესის განმავლობაში, ის ვრცელდება ნებისმიერ კომუნიკაციაზე ადვოკატსა და ამ ვალდებულების ადრესატს შორის.

17.5 განხილვის კოლეგიამ შეისწავლა მხარეთა პოზიციები, გამოიკვლია მხარეთა მიერ წარმოდგენილი მასალები და დაადგინა, რომ ადვოკატი ა. კ., ლ. ზ.-სთან ერთად, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში იმყოფებოდა 2022 წლის 26 იანვარს იმ მიზნით, რომ კლიენტის საქმეზე მიეღო საქმის მასალები. ადვოკატს მასალების მისაღებად დასჭირდა ლოდინი, დაახლოებით 1 საათის განმავლობაში. ადვოკატი საქმის მასალების მისაღებად იმყოფებოდა მომჩივანის, გ. კ.ს სამუშაო ოთახში. თავდაპირველად, ოთახში იმყოფებოდნენ გ. კ., ადვოკატი ა. კ. და ლ. ზ., შემდეგ ოთახში შევიდა ნ. ბ. (პარ. 15.1.1).

17.6 წარმოდგენილი მტკიცებულებებით, მომჩივანის პრეტენზია, რომ მის კაბინეტში ადვოკატმა სცადა მაგიდის აყირავება და მუშტი დაარტყა საკანცელარიო თეფშს, არ დასტურდება (პარ. 15.2.1). ასევე არ დადასტურდა, რომ ადვოკატი ა. კ. გ. კ.ს ხმამაღალი ტონალობით, ჩხუბით მოიხსენიებდა მას ღირსების შემლახავი სიტყვებით: „ნაძირალა“, „კორუმპირებულო“, „გათახსირებულო“ (პარ. 15.2.2).

17.7 განხილვის ეტაპზე არ დადასტურდა, რომ 2020 წელს, ერთ-ერთი სასამართლო სხდომის შემდეგ, ადვოკატი ა. კ. დაედევნა გ. კ.-ს სასამართლოს შენობაში, ასევე სასამართლოს შენობის გარეთ, სასამართლოს ეზოში და უწოდა „არაკაცი“; ასევე გ. კ.ს მისამართით გამოიყენა ტერმინი - „ეტენები“ (15.2.3).

17.8 კოლეგიის შეფასებით, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძვლზე, ადვოკატ ა. კ.-ს არ დაურღვევია პროცესის მომაწილის პატივისცემის ეთიკური ვალდებულება (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5.გ, ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.4).

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა დებულების 16, 17, 33, 35 მუხლებით, 40.2 მუხლით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №013/22 ადვოკატ ა. კ.-ს /სიითი/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება გაეგზავნოს მხარეებს.
3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/